საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიამ გამოავლინა № 3 ფორმის მიხედვით კრებსითი ანგარიშების წარდგენის ვადების დაღვევების 200-ზე მეტი შემთხვევა. უფრო მეტიც, ქალაქ სოხუმის (საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. კ. ნაუყიბა), საგარეჯოს (მ. ა. მეზვრიშვილი), ბოგდანოვკის (ვ. ა. კოჩოიანი) რაიონების პარტორგანიზაციებში იყო პარტიული შესატანის დავალიანების განზრახ დამალვის, საკასო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

დამფიქრებელია პარტიული სახსრების გაფლანგვის ფაქტები. ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონული პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიამ დაადგინა, რომ მის ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში სამი წლის განმავლობაში კომუნისტთა ნაკლები გამომუშავების ჩვენების გზით 8 ათას მანეთზე მეტი მითვისეს. კომუნისტები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ საქმეში, გაირიცხნენ სკკპ რიგებიდან, დანაკლისი თანხა შეტანილია პარტიულ სალაროში.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა მიუხედავად, ზოგიერთი ხელმძღვანელის, სკკპ წევრების საქმიანობას ხანგრძლივი დროის მანძილზე არავინ უწევდა კონტროლი.

რესპუბლიკის პარტიული ორგანოების ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში დიდია პარტიული საგამომცემლო საქმიანობის მოგების შედეგად მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი. საანგარიშო პერიოდში განმტკიცდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, დაიზოგა 855 ტონა ქაღალდი, ხოლო მისი მოგებიდან ანარიცხები პარტიულ ორგანოთა ბიუჯეტში 3 მილიონი მანეთით გაიზარდა.

მაგრამ გამომცემლობის მუშაობაში კვლავ არის ცალკეული ნაკლოვანებანი, რაც ამცირებს მის, როგორც ცენტრალური კომიტეტის მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული, იდეური ქმედანაყოფის ეფექტიანობას.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ მომჩივრებობთ და დანიშნულებისამებრ ყოფილიყო გამოყენებული პარტიული სახსრები, რომლებიც ხმარდება პარტიული ორგანოების შენახვას, მათ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, კადრების მომზადებასა და სხვა ღონისძიებებს. პარტიული კომიტეტების დიდი უმრავლესობა სწორად უძღვება საფინანსო მეურნეობას, მკაცრად იცავს საბიუჯეტო დისციპლინას.

მაგრამ ცალკეული პარტიული ორგანოები კვლავ ურიგდებიან გადახარჯვას პარტიული ბიუჯეტის ისეთი მუხლების მიხედვით, როგორიც არის სატრანსპორტო, სამივლინებო, სატელეფონო, ფოსტა-ტელეგრაფის, საკანცელარიო ხარჯები. ასეთი დარღვევები გამოვლინდა ფოთის საქალაქო კომიტეტში (პირველი მდივანი ბ. დ. გულუა), ახალქალაქის (ს. ბ. სტეფანიანი), სამტრედიის (თ. შ. ომელაძე) რაიკომებსა და სხვა პარტიულ კომიტეტებში.

პარტიული კომიტეტების ზოგიერთი ხელმძღვანელი უყაირათოდ ხარჯავდა სახსრებს ძვირად ღირებული ინვენტარის შეძენის, კაბინეტების გარემონტებისა და ხის პანელებით მოპირკეთებისათვის და ა. შ. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სხვა ორგანიზაციების სახსრების სხვადასხვა მიზნით გამოყენების მანკიერი პრაქტიკა.

სარევიზიო კომისიამ გამოავლინა ფაქტები, როცა ზოგიერთი პარტიული ორგანო მძღოლებად, ტექნიკურ და პასუხისმგებელ მუშაკებად კვლავ იყენებდნენ იმ პირთ, რომლებიც გაფორმებული არიან და ხელფასს იღებენ სხვა ორგანიზაციებში.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი დატვირთვა აქვთ პარტიული ორგანოების აპარატს მუშაკებს. ამავე დროს ზოგიერთ პარტიულ ორგანოში ცალკეული ამხანაგები მუშაობენ შეთავსებით, ზოგჯერ უკანონოდ. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ქუთაისის საქალაქო კომიტეტში, ჩხოროწყუს, ბორჯომის, ყვარლის, მარნეულის, ხობისა და მთელ რიგ სხვა პარტიულ კომიტეტებში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ნიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ პარტიული ორგანოების მუშაკებს შეექმნათ საჭირო პირობები მუშაობისათვის, განმტკიცდეს ტექნიკური ბაზა. კაპიტალური მშენებლობის გეგმა პარტიული ბიუჯეტის სახსრებით საანგარიშო პერიოდში შესრულდა 114 პროცენტით. აშენდა და გასახლდა 17 ადმინისტრაციული შენობა. მაგრამ სანიაო მშენებლობის დარგში ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია მხოლოდ 98,2 პროცენტით.

ყრილობებს შუა პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოვიდა მშრომელთა 112 ათასი წერილი და საჩივარი. მათი საერთო რაოდენობის 64 პროცენტს კონტროლი დაუწესდა, დადებითად გადაწყდა 14 პროცენტი. 48 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო საჭირო ახსნა-განმარტება მიღების დროს.

ამავე დროს მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი ახასიათებს. უხეშად ირღვეოდა მათი განხილვის ვადები მარნეულის, ლაგოდეხის, მცხეთის, სიღნაღის, დუშეთის, წალკის რაიკომებში, წყალტუბოსა და გაგრის საქალაქო კომიტეტებში, ხოლო პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო და კალინინის რაიკომებში სრულიად არადამაკმაყოფილებელია კონტროლი მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების მიღება-გატარებისადმი.

კვლავ არის მშრომელთა წერილებისა და განცხადებებისადმი ბიუროკრატული, უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. მაგალითად, მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შედეგად დაკმაყოფილეს სოციალური, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების საკითხებზე საკმაოდ დასაბუთებული თხოვნა, რომლებიც აღძრეს ომის მონაწილეებმა და ინვალიდებმა. ეს სერიოზული შენიშვნები ეხება პარტიის ადგილებს, სიღნაღის, თელავის რაიკომებს, გაგრის, წყალტუბოს საქალაქო კომიტეტებს. ამ ფაქტებიდან დასკვნები უნდა გამოიტანოს ყველა პარტიულმა კომიტეტმა.

სარევიზიო კომისია საანგარიშო პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატების მიერ მისი მისამართით გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და სურვილების რეალიზაციას. პრაქტიკაში დაინერგა სარევიზიო კომისიის წევრების ანგარიშების მოსმენა. კარგი შედეგები მოგვცა მათმა დამკვიდრებამ სარევიზიო სამეცნიერო კომიტეტებზე.

ამავე დროს კომისიის საქმიანობაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. მისი ყველა წევრი როდი მუშაობდა აქტიურად, დაინტერესებით. სათანადო დონეზე არ ეწყობოდა ზოგიერთი რევიზია და შემოწმება. სარევიზიო კომისია ჯერ-ჯერობით არ აყენებდა საკითხებს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წინაშე საქმეთა მმართველობის მუშაობაში არსებული ხარვეზების შესახებ.

მრავალი ნაკლოვანებაა აგრეთვე საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტორგანიზაციების სარევიზიო კომისიების საქმიანობაში, რომელთა აღმოფხვრაშიც რესპუბლიკის კომპარტიის სარევიზიო კომისია ყოველთვის ვერ უწევდა მათ საჭირო პრაქტიკულ დახმარებას. ადგილებზეც ყველა პარტიული კომიტეტი როდი ზრუნავდა სარევიზიო კომისიების ავტორიტეტისა და ქმედითობის გაძლიერებისათვის, ახდენდა დროული რეაგირებას მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე.

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ახალმა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის ნაკლოვანება და შენიშვნები, რომლებსაც გამოთქვამენ ყრილობის დელეგატები და შემდგომ პერიოდში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

ახლანდელი ყრილობა იწყებს მნიშვნელოვან, პასუხსაგებ ეტაპს რესპუბლიკის კომპარტიის ცხოვრებაში. დიდი შრომითი შემართება, პოლიტიკური აღმავლობა, რომელიც იგრძნობა საქართველოს მშრომელთა ყველა საქმეში, საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ კომუნისტები ღირსეულად შეეგებებიან სკკპ XXVII ყრილობას, წარმატებით გადაწყვეტენ პარტიის მიერ დასახულ ახალ ამოცანებს.

სამანდატო კომისიის მოხსენება

კომისიის თავმჯდომარის ვ. ი. ალავიძის მოხსენება

ყრილობის დელეგატთა გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ორგანული შენადნობი, რომელთა საშუალო ასაკი დაახლოებით 46 წელს შეადგენს, მთლიანად გამოხატავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის თვისებრივ შემადგენლობას. წინანდელთან შედარებით ახლანდელი ყრილობის შემადგენლობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, თითქმის ხუთი წლით გაახალგაზრდავდა — მემკვიდრეობითობის პროცესი პარტიულ რიგებში ღრმავდება და ფართოვდება.

უფროსი თაობის პარტიელთა უდიდესი გამოცდილებისა და ახალგაზრდათა უშრეტი ენერგიის შეხამების სიკეთე განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყველა რგოლის ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში. მათს მუშაობაში მონაწილეობა მიიღო იმ კომუნისტთა საერთო რაოდენობის 98,5 პროცენტმა, რომლებიც საქართველოს პარტორგანიზაციის შემადგენლობაში შედიან; მათგან თითქმის ნახევარი გამოვიდა კამათში, აქტიურად მონაწილეობდა კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები, პირველადი და რეგიონალური პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილის სრულყოფის ამოცანები წინათ არასოდეს არ ყოფილა ასე მჭიდროდ დაკავშირებული მორალურ-ეთიკური ხასიათის პრობლემებთან. ეს სავსებით შესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს და სწორედ ამან განაპირობა ის მომთხოვნელობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება, რომლითაც აფასებდნენ პარტიის წევრები თავიანთ მუშაობას.

კომუნისტთა პრინციპულმა პოზიციამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის რიგების გაწმენდას იმათგან, ვინც არ არის სკკპ წევრობის საპატიო წოდების ღირსი: კარიერისტების, პროტექციონისტების, მექრთამეების, მომხვეჭელებისაგან. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაში დასახული ამოცანების შესრულებისათვის მრავალი წლის ბრძოლის გამოცდილებით დაბრძენებული საქართველოს კომუნისტები თავიანთ ყრილობაზე მოვიდნენ და სკკპ XXVII ყრილობას ეგებებიან იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ კვლავაც იღვაწონ რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

განვლილ კამპანიას ახასიათებს არჩევითი პარტიული ორგანოების ჩამოყალიბებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის მკვეთრად გაზრდილი დონეც. დღეს მათს შემადგენლობაში წინანდელზე გაცილებით მეტია მუშა და კოლმეურნე, სახალხო მეურნეობის სპეციალისტი, ქალი, ახალგაზრდა; მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლობა.

კონფერენციებზე პარტიის წევრთაგან საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს უდიდესი პატივი დასდეს — წარმოგზავნეს თავიანთი პარტიული ორგანიზაციების დელეგატებად საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე. წარმომადგენლობის ნორმების შესაბამისად — ერთი დელეგატი 271 პარტიის წევრისაგან — ჩვენს ყრილობაზე არჩეულია 1424 დელეგატი. 885 დელეგატი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 62,2 პროცენტი, პირველად მონაწილეობს რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის მუშაობაში.

სამანდატო კომისიისა თუ პარტიული ორგანოების სახელზე არ შემოსულა საჩივრები და განცხადებანი შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის შესახებ. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე მოსული ყველა დელეგატის უფლებამოსილება ნამდვილად არის ცნობილი.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სოციალური შემადგენლობა ამომწურავი სისრულით გამოხატავს მთლიანად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სოციალურ სტრუქტურას. დღეს კომუნისტური პარტია საერთო-სახალხო პარტიაა. მაგრამ თავისი კლასობრივი არსით იგი იყო და არის მუშათა კლასის პარტია. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ყრილობის დელეგატთა შორის იმატა მუშათა რიცხვმა: 370 დელეგატი 270 დელეგატის ნაცვლად. ასეთი ზრდა ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის როლს რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

სასურსათო პროგრამის მიღებამ მკვეთრად გაზარდა აგროსამრეწველო კომპლექსის მნიშვნელობა. ამ დარგს ყრილობაზე წარმომადგენლობს 356 დელეგატი რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობის 316 დელეგატის ნაცვლად.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების, ფაბრიკების, ქარხნების, ორგანიზაციების დირექტორები, სამმართველოებისა და ტრესტების უფროსები — სულ 80 კაცი. ფართოდ არიან წარმომდგენილნი საშუალო რგოლის ხელმძღვანელები.

ყრილობის დელეგატად არჩეულია ჩვენი სახალხო ინტელიგენციის 131 წარმომადგენელი. მათ შორის არის 34 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და დარგობრივი საკავშირო აკადემიების ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

კომუნისტური პარტია ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური ხასიათის ბირთვია. საბჭოთა ადამიანების უსაზღვროდ სწამთ თავიანთი პარტიისა — ამის დასტური გახლავთ ის ფაქტი, რომ ჩვენი ყრილობის დელეგატად არჩეულია ყველა საფეხურის საბჭოების 987 დეპუტატი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ყველა პირველი მდივანი, პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროების 105 მდივანი, 71 პარტჯგუფორგი და 514 პარტკომბისა და პარტბიუროების წევრი. დელეგატთა შორის არის 235 საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი.

ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები, რომელთა პირადი შემადგენლობა აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამთავრებელი წელი აღინიშნა ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის დიად დღესასწაულით. საქართველომ 700 ათასზე მეტი მეომარი გაგზავნა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლის ველზე. 60 მათგანი დღეს ღირსეულად წარმომადგენლობს ყრილობაზე დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სახელოვან კოჰორტას.

საქართველოს კომპარტია ღრმად ინტერნაციონალურია თავის შემადგენლობითა და სულისკვეთებით. ყრილობაზე არჩეული არიან 47 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობის 32 წარმომადგენლის ნაცვლად.

დელეგატთა 82 პროცენტს მინიჭებული აქვს მთავრობის სპეციალური ჯილდოები. მათ შორის არის 3 საბჭოთა კავშირის გმირი, 50 სოციალისტური შრომის გმირი, 130 ლენინის ორდენის კავალერი, ყრილობის 1395 მონაწილე დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

დელეგატთა შორის 18 ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 65 საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, 332 დელეგატს აქვს ქვეყნისა და რესპუბლიკის სხვადასხვა საპატიო წოდებანი.

თითქმისდა მშრალი, სტატისტიკური მონაცემების მიღმა ძნელი არ არის დაინახო ოთხმოციანი წლების შუა ხანების კომუნისტის — სულიერად მდიდარი, დიდად განვითარებული პიროვნების, თავისი საქმის ოსტატის, მებრძოლისა და შემოქმედის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, პოლიტიკური მოღვაწის სახე, რომელსაც ღრმად გაუცნობიერებია თავისი პირადი პასუხისმგებლობა კაცობრიობის ბედისათვის, რომელიც ვერ ეგუება ეგოიზმსა და ანგარებას, პირადულზე მაღლა აყენებს პარტიისა და ხალხის ინტერესებს. ოთხმოციანი წლების შუა ხანების კომუნისტი რწმენით შეჰყურებს მომავალს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი ღრმად და პრინციპულად არის გაანალიზებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ორ ყრილობას შორის პერიოდში, ზუსტად არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო დოკუმენტებით დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის გზები. ჩვენი ყრილობის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვმა გააკეთა განცხადება, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა აღიქვა მიმართვად პირადად მისადმი: ის დიადი ამოცანები, რომლებიც დღეს და ხვალ უნდა გადაგწყვიტოთ, ხომ წარმატებით გადაწყდება მხოლოდ მტკიცე და ურყევი მშვიდობის პირობებში.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

1. ქ. ფოთი
2. ქ. თბილისი
3. ბოგდანოვკის რაიონი
4. ხობის რაიონი
5. ცხაკაიას რაიონი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნებით „მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის დიდი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის“ დაჯილდოვდა:

6. თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება*

7. საწარმოო გაერთიანება „საქსამო�მრეწვი“, ქ. თბილისი

8. საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პოტენციალის“ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა

9. ქუთაისის პოროპროდუქტების კომბინატი*

10. ქუთაისის პურსაცხობი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება*

11. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ცაგერის საგზაო-სარემონტო-სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველო

12. თბილისის საქალაქო აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველო

13. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ქუთაისის ქარხანა „რემოუტექნიკა“

14. გარდაბნის საბჭოთა მეურნეობა*

15. წალენჯიხის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა

16. ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა

17. ზუგდიდის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება*

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

18. წყალტუბოს ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება

19. ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, ქ. თბილისი.

20. თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა

21. ლენინის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანება „ჭაათურმანგანუმი“

22. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარული“, ქ. თბილისი

23. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

24. სოფელ ბურნაშევის ქ. ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობა, ახალქალაქის რაიონი

25. სოფელ ტბეთავის ლ. კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, გორის რაიონი

26. სოფელ ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. ზუგდიდის რაიონი

27. სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონი

28. კეთილარის მეცხოველეობის კომპლექსი, ახაშის რაიონი

* წითელი დროშა სამუდამოდ გადაეცათ

აბჟარის ასს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნით „მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის დიდი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის“ დაჯილდოვდა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დიპლომი:

1. ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა:

2. სოფელ მახოს ა. ა. ედანოვის სახელობის კოლმეურნეობა, ხელვაჩაურის რაიონი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნით „მეთერთმეტე ხუთწლედში მუშაობის დიდი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის“ დაჯილდოვდა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დიპლომი:

1. სოფელ ბალაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ლენინგორის რაიონი.

კომუნისტის წოდება გვაკავშირებს

პირველი მაყურებლები თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ახალი სპექტაკლისა „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის“ აღმოსავლური საკრავების თანხლებით“ გახდნენ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რ. სტურუამ მწერალ ა. ჭიჭინაძესთან თანაავტორობით დაწერილი პიესის მიხედვით. თეატრის კოლექტივმა ეს ნამუშევარი უძღვნა სკკპ XXVII ყრილობასა და რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმს.

... როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი, კაცი, რომელსაც პარტიამ, ხალხმა მიანდო ძალაუფლება, რომელსაც აკისრია დიდი მისია — პასუხი აგოს ადამიანის ბედისათვის? ეს მწვავე პრობლემა გამოიტანეს მაყურებელთა სამსჯავროზე რუსთაველელებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

18. წყალტუბოს ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება

19. ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, ქ. თბილისი.

20. თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა

21. ლენინის ორდენოსანი საწარმოო გაერთიანება „ჭაათურმანგანუმი“

22. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათამაშოების საწარმოო გაერთიანება „სიხარული“, ქ. თბილისი

23. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჭიათურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

**24. სოფელ ბურნაშევ

ხუთწლედის შრომითი გმირობა

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

(დასასრული)

კაუსტიკური სოდა, მილიონი ტონა	3,1	103
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	26,0	103
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	5,0	104
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, მილიონი ტონა	1,4	99,5
ავტოსაბურავები, მილიონი ცალი	65,2	102
სინთეზური სარეცხი საშუალებანი, მილიონი ტონა	1,2	105
ტურბინები, მილიონი კილოვატი	21,6	101
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	13,3	97
ცვლადი დენის ელექტროძრავები, მილიონი კილოვატი	54,7	102
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთისა	2674	112
მათ შორის რიცხვიური პროგრამული მართვის	1068	136
სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	662	100
პროგრამული მართვის ავტომატური მანიპულატორები (სამრეწველო რობოტები) ათასი ცალი	15,2	107
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	4,8	105
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	4,2	113
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	229	109
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	936	110
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,7	105
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალა	52,8	104
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთისა	3,7	104
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები და მოწყობილობა, მილიარდი მანეთისა	2,9	110
კომბაინები, ათასი ცალი:		
მარცვლეულის ასაღები	112	95
სიმინდის ასაღები	2,5	108
ბამბის საკრეფი მანქანები, ათასი ცალი	9,4	93
ექსკავატორები, ათასი ცალი	42,6	102
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა), მილიონი ფესტმეტრი	277	99,2
ქაღალდი, მილიონი ტონა	6,0	102
აქედან საგაზეთო, მილიარდი კვადრატული მეტრი	33,3	104
ცემენტი, მილიონი ტონა	131	100,7
ასაწყობი რკინაბეტონი, მილიონი კუბური მეტრი	135	102
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	12,1	102
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	26,1	104
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიარდი ცალი	1,7	103
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	787	103
საათი, მილიონი ცალი	67,2	100,2
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	930	104
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიარდი მანეთისა	1,2	93
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	8,8	94
ტელევიზორები, მილიონი ცალი	9,4	104
მათ შორის ფერადი	4,0	112
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	5,9	103
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი მაცივრები	3,3	112
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	5,1	112
მსუბუქი ავტომობილები, მილიონი ცალი	1,3	100,4
მოტოციკლები და მოტოროლერები, მილიონი ცალი	1,1	99,8
ველოსიპედები, მილიარდი მანეთისა	7,9	106

შესრულდა გაზის, ქვანახშირის, ლითონის მადნის მოპოვების, მთელი რიგი ფერადი ლითონების, ავტოსაბურავების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამრეწველო რობოტების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის, ავტომობილების, ტრაქტორების, მარცვლეულის ასაღები კომბაინების, ბამბის საკრეფი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გეგმა.

გადაჭარბებით შესრულდა მეტი წილი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 1,6 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, 130 ათასი მაცივარი, 47 ათასი სარეცხი მანქანა, 170 მილიონი მანეთის ავეჯი და მრავალი სხვა პროდუქცია.

ვერ შესრულდა ნავთობის მოპოვებისა და პირველადი გადამუშავების, შავი ლითონების ბზა ნაგლინის, მინერალური სასუქების, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის, სამეგზელო-საწნეხი მანქანების, ქიმიური მოწყობილობის, ნავთობაპარატურის, სამასალე მერქნის, ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის, ტელევიზორების, ცალკეულ სახეობათა ქსოვილების წარმოების გეგმა.

სახელმეკრულებო ვალდებულებანი მთლიანად ვერ შესრულდა. მიწოდების ვალდებულებათა შესრულებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაუშვეს ქიმიური მრეწველობის, მინერალური სასუქების წარმოების, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროების გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი მატება ვერ უზრუნველყვეს ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური, ქვანახშირის, ქიმიური მრეწველობის, შავი მეტალურგიის, მინერალური სასუქების წარმოების, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა.

მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებმა და გაერთიანებებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს საწარმოო სიმძლავრენი, ვერ შეასრულეს მატერიალური რესურსების დაზოგვის თვითღირებულების შემცირების, დაგროვების დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, მუშაობდნენ არარიტმულად, უშვებდნენ დაბალხარისხოვან პროდუქციას. სერიოზული ნაკლოვანებებია მეორეული მატერიალური რესურსების გამოყენებაში.

III. აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის დარგის მუშაკებმა გაზარდეს მთელი რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სასურსათო საქონლის გამოშვება.

1985 წელს სახელმწიფო რესურსებში მარცვლეულის მიწოდება მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მომარაგებას პურითა და პურპროდუქტებით.

შარშან მოწეულია 82 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო), 8,75 მილიონი ტონა ხამი ბამბა, 5,23 მილიონი ტონა მზესუმზირა, 73 მილიონი ტონა კარტოფილი, 28 მილიონი ტონა ბოსტნეული, 10,4 მილიონი ტონა ხიზი. შესრულებულია უხეში და წვნიანი საკვების დამზადების გეგმა, რაც იძლევა პიროუტყვის წარმატებით გამოზამთრებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების უზრუნველყოფის საშუალებას.

1986 წლის მოსავლისათვის სამარცვლე საშემოდგომო კულტურები დათესილია 32,8 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მზრალად მოხნულია 106,9 მილიონი ჰექტარი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე ფონდები მთლიანად არის მომარაგებული, უზრუნველყოფილია თესლის დიდი ნაწილის სათესი კონდიციები. სარემონტო საწარმოები საგაზაფხულო თესვისათვის ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

კიდევ უფრო განვითარდა **მეცხოველეობა.** ამ დარგის პროდუქტების **წარმოებას** ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1984 წ.	1985 წ.
ხორცი (ნაკლავი წონა), მილიონი ტონა	17,0	17,1
რძე, მილიონი ტონა	97,9	98,2
კვერცხი, მილიარდი ცალი	76,5	77,0
მატყლი (ფიზიკური წონა), ათასი ტონა	465	442

მეცხოველეობის პროდუქტების ზრდა ძირითადად მიღწეულია პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების შედეგად. საზოგადოებრივ მეურნეობებში რძის საშუალო ნაწველი გაიზარდა 52 კილოგრამით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო სადღეღამისო წონამატება გადიდდა 2 პროცენტით.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (მილიონი სული):

პროდუქტიული პირუტყვი	1985 წლის 1 ივ. ნგრისათვის	1986 წლის 1 ივ. ნგრისათვის
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	121,0	120,7
მათ შორის ძროხა	43,6	42,8
ღორი	77,9	77,6
ცხვარი და თხა	149,2	146,5

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	1984 წ.	1985 წ.
პირუტყვი და ფრინველი, მილიონი ტონა		
ცოცხალი წონა	18,2	18,4
ნაკლავი წონა	11,5	11,7
რძე, მილიონი ტონა	66,2	68,1
კვერცხი, მილიარდი ცალი	49,5	50,7
მატყლი (წმინდა ბოჭკოზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	239,9	242,9

1984 წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის, მატყლის სახელმწიფო შესყიდვა გაიზარდა ერთი პროცენტით, რძისა — 3 პროცენტით, კვერცხისა — 2 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის გეგმები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ იხვეწებოდა შრომის ორგანიზაცია ბრიგადული იჯარის გამოყენების ბაზაზე, ინერგებოდა სამეურნეო ანგარიში.

გაიზარდა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობა. 1985 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოგება მთელი საქმიანობის მიხედვით წინა წელთან შედარებით გაიზარდა შვიდი პროცენტით და შეადგინა 21 მილიარდი მანეთი.

აგროსამრეწველო კომპლექსის **კვების დარგების** მუშაკებმა ძირითადად უზრუნველყვეს სასურსათო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი მოცულობანი.

სასურსათო პროდუქცია	წარმოებულია 1984 წ.	1985 წ.
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება), მილიონი ტონა	10,7	10,8
ძეხვეული, მილიონი ტონა	3,3	3,4
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიარდი მანეთის	7,0	7,3
ერბო-კარაქი, მილიონი ტონა	1,5	1,5
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, მილიონი ტონა	28,6	29,8
მარგარინის პროდუქცია, მილიონი ტონა	1,4	1,4
ფხვნილი შაქარი, მილიონი ტონა	12,5	11,8
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	2,7	2,5
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	4,2	4,3
ჩაი ნატურალური, ათასი ტონა	250	259
კონსერვი, მილიონი პირობითი ქილა	17,2	18,0
მათ შორის ხილბოსტნეულისა	12,0	12,4
ხილის წვენები, მილიარდი პირობითი ქილა	2,4	2,6
მინერალური წყლები, მილიარდი ბოთლი	2,6	2,6
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	357	383

სსრ კავშირის სახაგრომრეწვის გაერთიანებებმა და საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს საპრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი.

სატყეო მეურნეობაში ტყის აღდგენითი სამუშაოები სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში განხორციელდა 2,2 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ტყის მოწყობა — 47 მილიონ ჰექტარზე.

კიდევ უფრო განმტკიცდა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სოფლის მეურნეობას **მიაწოდეს** 34,7 მილიონი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის 393 ათასი ტრაქტორი, 111 ათასი მარცვლეულის ასაღები, 2,5 ათასი სიმინდის ასაღები, 8,6 ათასი კარტოფილის ასაღები კომბაინი, 4,9 ათასი ჭარხლის ასაღები და 9 ათასი ბამბის საკრეფი მანქანა, 19,5 ათასი დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, 4 ათასი უხეში საკვების დასაქუცმაცებელი, 2,6 ათასი მინამდელიანი საკვების სარიგებელ-შემზადებელი და სხვა ტექნიკა, მინერალური სასუქის მიწოდებამ (100 პროცენტ მასაზრდოებელ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით) 25,4 მილიონი ტონა, ქიმიური საკვების დანამატების მიწოდებამ — 989 ათასი ტონა შეადგინა. გაიზარდა აგროსამრეწველო კომპლექსის კვების დარგების საწარმოებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის მიწოდება.

კაპიტალურმა დაბანდებამ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, აგრეთვე წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში 55 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. აქედან 45,6 მილიარდი მანეთი მოხმარდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათ შორის 9 მილიარდი მანეთი — სამელიორაციო მშენებლობას.

სოფლის მეურნეობაში აშენდა 6 მილიონი სული პირუტყვისათვის განვალისწინებული მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები, 8,5 მილიონი ფრთა ფრინველისათვის გათვალისწინებული სადგომები, 2,1 მოქცეულისათვის განკუთვნილი მეფრინველეობის ფაბრიკები და წელიწადში 52 მილიონი ფრთა ფრინველისათვის განკუთვნილი სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკები, 21 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ტევადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი და სხვა ობიექტები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,4 მილიონი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები, გასარწყავებულია 3,4 მილიონი ჰექტარი საძოვარი, კულტურტექნიკური სამუშაოები განხორციელდა 1,6 მილიონი ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, რომლებიც არ საჭიროებენ დაშრობას. საექსპლოატაციოდ გადაცემულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანა-მოწყობილობის, მინერალური სასუქებისა და საკვები დანამატების, აგრეთვე ხორცის, მოუხდელი რძის პროდუქციის, პურფუნთუშეულის, შაქრის წარმოების ახალი სიმძლავრეები, აშენებული ელევატორები, კომბინირებული საკვების ქარხნები, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში სერიოზული ნაკლოვანებებია. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კვლავ ვერ ასრულებენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, ურიგდებიან რესურსების არაეფექტიან გამოყენებას, ტექნიკის მოცდენას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგებს, ვერ უზრუნველყოფენ სამეურნეო ანგარიშის ქმედითობას. გადამმუშავებელი დარგების ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ მიაღწიეს კვების პროდუქტების ხარისხის არსებითს გაუმჯობესებას. სრული მოცულობით არ არის ათვისებული გადამმუშავებელი ბაზის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და ტვირთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვა და ტვირთბრუნვა	შესრულდა 1985 წელს	1985 წელი პროცენტობით, 1984 წელთან შედარებით
ტვირთზიდვა, მილიონი ტონა		
რკინიგზის ტრანსპორტი	3.958	101
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	632	102
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	6.319	99,4
ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები	631	97
ტვირთბრუნვა, მილიარდი ტონა-კილომეტრი		
რკინიგზის ტრანსპორტი	3.719	102
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	262	99
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	142	102
ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები	1.313	96
გაზის მრეწველობის სამინისტროს გაზსადენები	1.131	113

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 1,6 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — 2,6 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთის, მათ შორის ქვანახშირის მადნის, ცემენტის, პურისა და ზოგიერთი სხვა უმნიშვნელოვანესი ტვირთის გადაზიდვის, მგზავრთბრუნვის საერთო მოცულობის, ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა. ტვირთბრუნვის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ამავე დროს ვერ შესრულდა ტვირთბრუნვის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მინერალური სასუქების, ტორფისა და ტორფულის, ხე-ტყისა და სხვა ტვირთის გადაზიდვის, თვითღირებულების, სატვირთო ლოკომოტივებისა და ვაგონების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის დავალებანი.

საზღვაო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა საზღვარგარეთ და შინაწყლისნობაში ტვირთზიდვის, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა გეგმა; ისინი შესაბამისად გაიზარდა 1,8 პროცენტით, 2 და 3 პროცენტით.

სამდინარო ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთის, მათ შორის კოქსის, ფერადი ლითონების მადნისა და გოგირდის ნედლეულის, სამშენებლო და ქიმიური ტვირთის, გრანულირებული წიდის, ცეცხლგამძლე მასალების, ფლუსების გადაზიდვის გეგმა. ვერ შესრულდა ტვირთბრუნვის, მგზავრთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტმა შეასრულა მგზავრების გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის გეგმა. ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა 3 პროცენტით გაიზარდა. სატვირთო ავტომობილების გამოყენება არ გაუმჯობესებულა, ვერ მიაღწიეს ტვირთზიდვის, მგზავრთბრუნვის და მუუბუქი ტაქსების ფასიანი გარბენის დასახულ მოცულობას.

ნავთობსადენების, და ნავთობპროდუქტსადენების ტრანსპორტმა ვერ შეასრულა ტვირთბრუნვის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვის გეგმა.

გაზის მრეწველობის სამინისტროს გაზსადენებმა შეასრულეს სასაქონლო გაზის მიწოდების გეგმა.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთბრუნვის, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთზიდვის, სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების სამუშაოთა გეგმა. გადაყვანილია 112 მილიონზე მეტი კაცი, საავიაციო-ქიმიური სამუშაოები განხორციელდა 108 მილიონ ჰექტარზე.

მაგრამ ტრანსპორტით მთელ რიგ სახეობათა ტვირთის გადაზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს მთლიანად ვერ უზრუნველყოფდნენ; დიდია **დატვირთვა-განტვირთვის** ოპერაციების დროს მოძრავი შემადგენლობის არამწარმოებლური მოცდენები და უქმი გარბენები.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს პროდუქციის მოცულობის გეგმა და მიაღწიეს მის მატებას 5 პროცენტით.

დაევალებათა შესაბამისად გაიზარდა კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო ხაზებზე სატელეფონო არხების სიგრძე, მონაცემების გადაცემის საერთო-სახელმწიფო სისტემის არხებისა და სატელეკრაფო ქსელის კომუტაციის კვანძების, საქალაქო სატელეფონო სადგურების ტევადობა, გადიდდა საკვანძო საფოსტო საწარმოების კომპლექსური მექანიზაცია. ვერ შესრულდა სოფლის სატელეფონო სადგურების ტევადობის ზრდის გეგმა.

გაფართოვდა რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურების ქსელი.

V. კაპიტალური მშენებლობა

განხორციელდა საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დიდი პროგრამა. **ძირითადი ფონდების** ამოქმედება გაიზარდა 1,2 მილიარდი მანეთით. **ამოქმედდა 200-მდე ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.**

მანქანათმშენებელ კომპლექსში ამოქმედდა ორთქლისა და გაზის ტურბინების, სატვირთო ავტომობილების, მაგისტრალური ვაგონების, დაბალი ძაბვის ელექტრული აპარატურის, საკაბელე ნაწარმის, ქიმიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამეგზელო-საწნეხი მანქანებისა და სხვა პროდუქციის საწარმოო სიმძლავრენი.

საკონსტრუქციო მასალების და მათი ნედლეულის **მწარმოებელ დარგებში** საექსპლოატაციოდ გადაეცა კაჩარის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი კუსტანაის ოლქში, რკინის მადნის მომპოვებელი და მადნისაგან კონცენტრატის საწარმოებელი სიმძლავრენი სტოილენსკისა და მიხაილოვსკის სამთო-მამდიდრებელ კომბინატებში, ფოლადისა — ამურის კომსომოლსკის ზორეული აღმოსავლეთის მეტალურგიულ ქარხანაში, შავი ლითონების ნაგლინისა — მოლდავეთის მეტალურგიულ ქარხანასა და ყარაღანდის მეტალურგიულ კომბინატში, კოქსისა — ალტაის კოქსქიმიურ ქარხანაში, ქიმიური ბოჭკოსი და ძაფისა — გომელის ოლქის სვეტლოგორსკისა და ბარნაულის „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებებში, ბელორუსიის სსრ „პოლიმირის“ საწარმოო გაერთიანებაში, სინთეზური ფისების და პლასტიკური მასებისა —ჩერკასის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, მიღებულია ხის ბურბუშელის ფილების, ცემენტისა და სხვა პროდუქციის საწარმოო ახალი სიმძლავრენი.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგებში ამოქმედდა ბალაკოვოს აესი (ატომური ელექტროსადგური), ახალი ტურბინა ზაპოროჟიეს აესში და ენერგობლოკი სმოლენსკის აესში, სურგუტის მე-2 სახრაიელსადგური, ნოვოანგრენსკის სახრაიელსადგური ტაშკენტის ოლქში, ენინგალის კომპლექსური ჰიდროკვანძი საქართველოში, ქვანახშირის ჭრილი „აღმოსავლეთისა“ პავლოდარის ოლქში, № 3 „სამხრეთ დონბასის“ შახტი დონეცკის ოლქში, სიმძლავრენი აჩინსკისა და ჩიმკენტის ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში, კემეროვოს ოლქის „საიუბილეო“ და „ტომსკის“ შახტებში. აშენდა 12,5 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მაგისტრალური გაზსადენების მთელი რიგი უბნები. გადამდე დამთავრდა ურენგოი-ცენტრ-II-ის გაზსადენის სახაზო ნაწილის მშენებლობა.

გაიზარდა **სახალხო მოხმარების საქონლის** — ავეჯის, მაცივრების, ქსოვილების, წინდების, ფეხსაცმლის, შეკერილი ნაწარმისა და სხვათა საწარმოო სიმძლავრენი.

მუდმივი ექსპლოატაციისათვის გადაეცა გზის ახალი უბნები ბაიკალამურის ლენინური კომკავშირის სახელობის რკინიგზაზე.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინა დაახლოებით 179 მილიარდი მანეთი.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მიერ შესრულებული საიჯარო სამუშაოების მოცულობა გაიზარდა 3 პროცენტით.

ამასთანავე ჯერ კიდევ არ არის დაძლეული კაპიტალური დაბანდების დაჭარბება და ობიექტების აშენების ნორმატიული ვადების გადამეტება, არ შესრულებულა ძირითადი ფონდების, მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმები. სსრ კავშირის მიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ და ზოგიერთმა სხვა უწყებამ ვერ უზრუნველყვეს საიჯარო სამუშაოთა მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შესრულება.

VI. ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ეკონომიკის ზრდის საფუძველზე უზრუნველყოფილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო სამინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დანახარჯების გათვალისწინებით უშუალოდ სახალხო კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის ოთხი მეხუთედი.

გაიზარდა მოსახლეობის **რეალური შემოსავალი.** სახალხო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადმა ხელფასმა შეადგინა 190 მანეთი 1984 წლის 185 მანეთის ნაცვლად. კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 148-დან გაიზარდა 153 მანეთამდე.

ქვეყნის ყველა რაიონში დამთავრდა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების გადიდება. მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშებს ყველგან დაუწესდა ხელფასის სარი და შემოღებულია დამატებითი შვებულება მოცემულ მეურნეობაში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის.

1985 წლის 1 სექტემბრიდან გაუდიდდათ ხელფასის განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, ევროპის ჩრდილოეთში, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, ურალის ეკონომიკურ რაიონში, აგრეთვე მარეთის, ჩუვაშეთის სსს რესპუბლიკაში, ვოლგოგრადის, კიროვის, ნოვგოროდისა და ფსკოვის ოლქებში განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების საშუალო და უფროსი კლასების მასწავლებლებს, საწარმოო სწავლების ოსტატებს, პედაგოგებს, ხელმძღვანელ და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს. გაუდიდდა აგრეთვე შრომის ანაზღაურება სახალხო განათლების ზოგიერთ სხვა მუშაკს.

დაუწესდათ ხელფასის დამატებითი შეღავათები ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებს, აგრეთვე მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებს.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 146,5 მილიარდი მანეთის **მისაცემლები და შეღავათები,** ანუ 5,8 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1984 წელს. ამ მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 261 მანეთიდან გაიზარდა 268 მანეთამდე თვეში.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

კოლმეურნეობის წევრებს გაუდიდდათ მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნული პენსიების მინიმალური ოდენობა. მუშებს, მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს მოემატათ პენსიები, რომლებიც 10 წელიწადზე მეტი ხნის წინათ ჰქონდათ დანიშნული თვეში 60 მანეთამდე ოდენობით, და მათი დონე მიუახლოვდა პენსიების ოდენობას, რომლებიც ამჟამად ენიშნებათ ანალოგიური პროფესიებისა და კვალიფიკაციის მუშაკებს. განხორციელდა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების სხვა დამატებითი ღონისძიებანი.

მიმდინარეობდა სახელმწიფო შინაგანი სესხების ობლიგაციების დაფარვა.

უზრუნველყოფილი იყო ფულის მიმოქცევის სტაბილურობა.

შრომელებმა გაზარდეს თავიანთი **ანაბრები შემნახველ სალაროებში** 18,7 მილიარდი მანეთით.

დაწყებულია მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის.

მოსახლეობის მიერ მატერიალური დოვლათისა და მომსახურების **მოხმარება** წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 324,1 მილიარდი მანეთი და 1984 წელთან შედარებით, შესადარი ფასებით, გაიზარდა 13 მილიარდი მანეთით. რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება სასურსათო პროდუქტებითა და არასასურსათო საქონლით. მაგრამ საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის წლიური გეგმა არ შესრულებულა. დაბალებებს თავი გაართვეს მხოლოდ ბელორუსიის, ლიტვის, სომხეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების სავაჭრო ორგანიზაციებმა. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ყოველთვის ვერ კმაყოფილდებოდა მზარდი მოთხოვნა ზოგიერთ სასურსათო და სამრეწველო საქონელზე.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობაში ცალკეული საქონლის **გაყიდვის ზრდას** ახასიათებენ შემდეგი მონაცემები:

ცალკეული საქონელი	1985 წელი პროცენტობით, 1984 წელთან შედარებით
პურპროდუქტები	99,5
ხორცი და ხორცის პროდუქტები	104
თევზი და თევზის პროდუქტები	104
ერბო-კარაქი	106
მცენარეული ზეთი	103
მარგარინის პროდუქცია	102
მოუხდელი რძის პროდუქცია	104
ყველი	104
კვერცხი	103
შაქარი	94
საკონდიტრო ნაწარმი	106
ჩაი	109
კარტოფილი	98
ბოსტნეული	102
ხილი და ციტრუსი	102
ტანსაცმელი, საცვალი და ქსოვილები	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი	108
წინდები	108
ფეხსაცმელი	108
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	103
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	102
ავეჯი	104
მაცივრები და საყინავები	97
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი მაცივრები	109
სარეცხი მანქანები	110
ელექტრომტვერსასრუტები	107
საათი	107
ფოტოაპარატები	100
რადიომიმღები მოწყობილობა	110
ტელევიზორები	99
მათ შორის ფერადი	105
მაგნეტოფონები	111
ველოსიპედები და მოპედები	107
მოტოციკლები და მოტოროლერები	96
მსუბუ